

არნოლდ ჩიქობავას
საკითხავეები. XXII

2011 წლის 7-8 მაისი

ქ. ს ე ნ ა კ ი

მუშაობის გეგმა

7 მაისი, 10 საათი

სამეცნიერო სესიას გახსნის სენაკის გამგებელი ბ-ნი **თ. ადამია**.

მისალმებებით გამოვლენ:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, პროფ. **გ. კვარაცხელია**, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. **ლ. ეზუგბაია**, ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი, პროფ. **გ. გოგოლაშვილი**, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სრული პროფესორი **ც. ბარამიძე**, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **ვ. შენგელია**...

მისალმებათა შემდეგ მოსმენილი იქნება **სამეცნიერო მოხსენებები**.

შესვენების დროს სამეცნიერო სესიის მონაწილეები ეწვევიან ძველი სენაკის არნ. ჩიქობავას სახელობის **საჯარო სკოლასა** და არნ. ჩიქობავას **სახლ-მუზეუმს** საჩიქობაოში.

7 მაისი, 16 საათი

შესვენების შემდეგ გაგრძელდება **სამეცნიერო მოხსენებათა კითხვა**.

8 მაისი, 10 საათი

წაკითხული იქნება **სამეცნიერო მოხსენებები**.

სამეცნიერო სესიის დახურვის შემდეგ სესიის მონაწილეები დაათვალიერებენ **ნოქალაქევის გათხრებს**.

გიწვევთ მიძღვნით (მემორიალურ) სამეცნიერო სესიაზე „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, რომელიც გაიმართება ქ. სენაკში ა.წ. 7-8 მაისს.

სამეცნიერო სესია ტრადიციულია და მას ოცდამეორედ ატარებს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომლები.

სამეცნიერო სესია იმუშავებს ქ. სენაკის **სასტუმრო „ეას“ სხდომათა დარბაზში (ღვინჯილიას ქუჩა №5)**.

7 მაისს გაიმართება **ორი სხდომა**: პირველი სხდომა დაიწყება **10 საათზე**, მეორე – **16 საათზე**.

8 მაისს 10 საათზე ჩატარდება დასკვნითი სხდომა.